

ტრენინგ-პროგრამის (სასწავლო კურსის) წარსადგენი ფორმა

1. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მომწოდებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა,პოზიცია):

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა, პროგრამის მენეჯერი

2. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური):

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა

2. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის დასახელება: ინკლუზიური განათლების შესავალი

4. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები:

4.1. უფასო ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე დამრიგებლები, მასწავლებლები, სპეცმასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სხვა პირები.

4.2. ფასიანი ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა:

5.1. უფასო ტრენინგის შემთხვევაში: 15-25 მსმენელი. (დასაშვებია მეტი ან ნაკლები მონაწილე).

5.2. ფასიანი ტრენინგის შემთხვევაში: 10-20 მსმენელი.

6. რეგიონული დაფარვა: საქართველო

7. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება²:

სამი სატრენინგო დღე, დღეში 4 საათი. სულ 12 საათი. (არსებული დროის ფარგლებში შესაძლოა შეიცვალოს თითოეული თემის ხანგრძლივობა მასწავლებელთა ინტერესების შესაბამისად ნოზოლოგიების ნაწილში).

¹**შენიშვნა:** საჭიროების შემთხვევაში, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით, შესაძლებელია მსმენელთა მინიმალური და მაქსიმალური ზღვარის ცვლილება.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის ჩასატარებელი დღეებისა და საათების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. მოდულის მოცულობა საათებისა (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) და კრედიტულების (ECTS ან მასაწვლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული კრედიტულა) მითითებით:

12 საათი - 0,5 კრედიტი

9. ადამიანური რესურსი: შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი/ტრენერები)

მწვრთნელების/ტრენერების სვარაუდო რაოდენობა, წამყვანი მწვრთნელის/ტრენერის ვინაობა: ტრენინგი ტარდება ინკლუზიური განათლების ტრენერების მიერ.

10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი:

ფლიფჩარტი - 2 შეკვრა, თაბახის ფურცლები - 1 შეკვრა, მარკერები - 5 ცალი, საკითხავი, სავარჯიშოების მასალა - 2 შემთხვევის აღწერა 2-2 ეგზემპლარი, პროექტორი, კომპიუტერი, ხმის გამაძლიერებელი.

11. სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:

მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ცნობა.

12. მსმენელთა შეფასების სისტემა:

მონაწილე უნდა დაესწროს ტრენინგის მინიმუმ 75%-ს, ანუ 9 საათს.

13. საკითხავი მასალა: მასალის თემატიკა და ოდენობა ტრენინგის ჩატარებამდე მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

1. „ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის (2009)“ ა.ლალიძე, მ.ბაგრატიონი, თ.პაჭკორია.
2. „ინკლუზიური განათლების პრინციპები“ თ. გაგოშიძე, თ.ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი გვ. 71-136
3. ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი, 2016 <http://inclusion.ge/res/docs/2017031014280188168.pdf>
4. <http://inclusion.ge>

